68.5 მილიონი ლარის საეჭვო ხარჯვა მუნიციპალიტეტებში - რას აჩვენებს სახელმწიფო აუდიტის ახალი ანგარიში

2026 წლის 6 მარტს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა **13 მუნიციპალიტეტის** საქმიანობის აუდიტის ანგარიშები გამოაქვეყნა. ეს მუნიციპალიტეტებია: ჩხოროწყუ, ცაგერი, ტყიბული, ოზურგეთი, ხულო, შუახევი, წალენჯიხა, ონი, აბაშა, ქედა, კასპი, ბაღდათი და ჭიათურა. ანგარიშებში შესწავლილია 2022-2023 წლები, ზოგ შემთხვევაში, 2024 წლის პირველი ნახევარიც. „ფლანგვის დეტექტორი" უკვე წერდა აღნიშნულ ანგარიშებში გამოვლენილ დარღვევებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტების ავტოპარკის დასაწვავის ხარჯვის არასაკმარის კონტროლს უკავშირდება. ამჯერად, აუდიტის ანგარიშების სრულად შესწავლის შედეგებს წარმოგიდგენთ.

აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევების და ნაკლოვანებების ჯამური თანხა 68.5 მლნ ლარია.
მათ შორის:

- მუნიციპალიტეტების არაეფექტიანმა, კორუფციის რისკების შემცველმა, დაუსაბუთებელმა და გაფლანგულმა ხარჯმა 2022-2023 წლებში ჯამში **20 მლნ** ლარამდე შეადგინა.
- არასათანადოდ ხარისხით შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამური ხარჯი **38 მლნ** ლარია. ეს ის ინფრასტრუქტურული პროექტებია, რომლებიც სათანადოდ ან საერთოდ არ ფუნქციონირებენ ან თავიდან საჭიროებენ დაფინანსებას.
- მუნიციპალიტეტებმა გაწეული სერვისების სანაცვლოდ ვერ მიიღეს **1.1 მლნ** ლარის შემოსავალი
- გამოუყენებელი, ბიუჯეტის ანგარიშებზე თავისუფალი ნაშთის სახით არსებული თანხის ჯამური მოცულობა **9.5 მლნ** ლარია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში, აღწერილია არაეფექტიანი ან დაუსაბუთებელი ხარჯების არსებობა, მაგრამ არ არის მითითებული სავარაუდო ზარალი. აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტების არასათანადოდ მართვის მიღებული ზარალი რეალურად გაცილებით მეტია.

შეიძლება ითქვას, აუდიტის გამოვლენილი შედეგები საგანგაშოა და ფულის ფლანგვის, არაეფექტიანად და დაუსაბუთებლად ხარჯვის, კორუფციის რისკების, სამსახურებრივი გულგრილობის და სხვა აშკარა დარღვევების არსებობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ აუდიტის სამსახური თავად აღნიშნავს, რომ მსგავსი პრობლემები ამ მუნიციპალიეტეტებში 2016-2020 წლების აუდიტმაც აჩვენა, მაგრამ მუნიციპალიტეტებმა რეკომენდაციები სრულად არ გაითვალისწინეს და მართვის პრობლემები ისევ სახეზეა.

ფინანსური რესურსების არ გამოყენება

მაშინ, როდესაც საქართველოში მუნიციპალიტეტებს მწირი დაფინანსება აქვთ, მოსაგვარებელი პრობლემები კი ბევრია, შესწავლილი 13 მუნიციპალიტეტიდან ცხრამ გამოყოფილი ბიუჯეტი სრულად ვერ დახარჯეს და ნაშთის გამოყენების ნაცვლად, წლის ბოლოს ანგარიშზე თავისუფალი ნაშთი უგროვდებოდათ. ასეთი თანხების ჯამური მოცულობა 9.5 მლნ ლარია. ყველაზე მეტი თავისუფალი ნაშთი - 2 მლნ ლარი ტყიბულის მუნიციპალიტეტს ჰქონდა.

მერიები ვერ უზრუნველყოფენ საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირებას, რის შედეგადაც ბიუჯეტს თანხა აკლდება. ასევე, ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ქონების იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად მობილიზებას. ჯამში, შესწავლილ მუნიციპალიტეტებს 2020-2023 წლებში დასუფთავების მოსაკრებლიდან და ვერ მიღებული იჯარის თანხიდან 1 მლნ ლარზე მეტი დააკლდათ.

ცხრილი 1. მუნიციპალიტეტების მიერ ვერ დახარჯული თანხა და მომსახურების სანაცვლოდ მიუღებელი შემოსავალი, ათასი ლარი

	არგაწეული ხარჯი (თავისუფალი ნაშთი)	მიუღებელი შემოსავალი
ჩხოროწყუ	1,073	74
ცაგერი	878	141
ტყიბული	2,018	100
ჭიათურა	527	61
წალენჯიხა	972	9.5
აბაშა	121	61.3
კასპი	1,682	422
ოზურგეთი	1,542	
ონი	721	
შუახევი		181
ბაღდათი		33
სულ	**9,534**	**1,081**

მონაცემების წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები

კორუფციის რისკის შემცველი ხარჯები

შესწავლილი 13 მუნიციპალიტეტიდან ყველაში იკვეთება კორუფციის და ფლანგვის ნიშნები. აუდიტის სამსახური ასეთ თანხებს არაეფექტიანს, საეჭვოს ან დაუსაბუთებელს უწოდებს, მაგრამ ფაქტია, ყოველი ასეთი ხარჯი აღძრავს ეჭვს, რომ საქმე გვაქვს ან კორუფციასთან ან სამსახურებრივ გულგრილობასთან. არაეფექტიანი (საეჭვო) ხარჯი ჯამში 16.4 მლნ ლარი იყო, გაფლანგული თანხა 1.2 მლნ ლარი, ხოლო დაუსაბუთებელი ხარჯი 2.2 მლნ ლარი.

კორუფციის რისკების შემცველი, არაეფექტიანი ხარჯი ყველაზე მეტი - 7 მლნ ლარის **ოზურგეთის** მუნიციპალიტეტს ჰქონდა. აქედან, 5.3 მლნ ლარი ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხაა.[1] **ონის** მერიამ 4.6 მლნ ლარი დახარჯა საეჭვო გარემოებაში, კერძოდ, 4.3 მლნ ლარის სახელმწიფო შესყიდვები არასათანადოდ ჩატარებული ბაზრის კვლევის პირობებში განახორციელა.[2] როგორ აუდიტი აღნიშნავს, არსებობს რისკი, რომ ხელშეკრულებები საბაზრო ღირებულებაზე მაღალ ფასად გაფორმდა.

გაფლანგული 1.2 მლნ ლარიდან 380 ათასი ლარი **აბაშაზე** მოდის, რაც მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის ხარვეზებს უკავშირდება. მაგალითად, 2022-2023 წლებში 72 ათასით დაფინანსდა ა(ა)იპ საინფორმაციო მაუწყებელი „აბაშის მაცნე“. წესდების მიხედვით, ა(ა)იპ-ის ფუნქცია იყო გაზეთის გამოცემა, მაშინ, როცა გაზეთი 2020 წლის შემდეგ

აღარ გამოუცია. 2022-2023 წლებში ორგანიზაცია ახორციელებდა მხოლოდ აბაშის „ქართული ლიგის“ გუნდისათვის სასცენარო მომსახურებების შესყიდვას (გადახდილია 17.4 ათასი ლარი), თუმცა ანალოგიურ მომსახურებას ყიდულობდა მუნიციპალიტეტის მერიაც.[3] **ჭიათურის** მუნიციპალიტეტის მიერ გაფლანგული 369 ათასი ლარიდან 336 ათასი ლარი უკავშირდება

სკოლის შენობის შეკეთებას, რომლის სამუშაოების დასრულებიდან მოკლე დროში ობიექტის სრული რეაბილიტაცია დაიგეგმა და მუნიციპალიტეტის მიერ შესრულებული სამუშაოების დემონტაჟი განხორციელდა.[4]

---

[1] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტის ანგარიში, გვ 24
[2] ონის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტის ანგარიში, გვ 11
[3] აბაშის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტის ანგარიში, გვერდი 18
[4] ჭიათურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტის ანგარიში, გვ 14

დაუსაბუთებელი ხარჯი ყველაზე მეტი **ოზურგეთის** მუნიციპალიტეტმა გაწია. აქედან, 725 ათასი ა(ა)იპ სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებას უკავშირდება, სადაც შრომის ანაზღაურებაზე ისე დაიხარჯა 725 ათასი ლარი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებების ანალიზის შედეგად, აღნიშნული სპეციალისტების ყოველდღიური ფუნქციური დატვირთვა არ დასტურდება.[5]

ცხრილი 2. *არაეფექტიანი, კორუფციის რისკების შემცველი, დაუსაბუთებელი და გაფლანგული თანხა, ათასი ლარი*

	არაეფექტიანი (კორუფციის რისკი)	**ფლანგვა***	**დაუსაბუთებელი**
ოზურგეთი	7,033		956
ონი	4,556	25.8	
ბაღდათი	1,180	56	
ჭიათურა	1,059	369	
ჩხოროწყუ	909	262	328
კასპი	840	65	48
ცაგერი	466		
შუახევი	164		180
ხულო	80	10.3	11
აბაშა	75	380	
წალენჯიხა	39		
ტყიბული			483
ქედა		27	154
სულ	**16,402**	**1,195**	**2,161**

მონაცემების წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები

ტერმინი **„ფლანგვა“ გამოყენებულია „ფლანგვის დეტექტორის“ მიერ (არ გვხვდება აუდიტის ანგარიშებში) და ის ასახავს ისეთი სახის ხარჯს, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია ან ვერ ხერხდება შედეგის დოკუმენტურად დამოწმება*

მუნიციპალიტეტებში გავრცელებული პრაქტიკაა **ინფრასტრუქტურული პროექტების არასათანადოდ შესრულება**. ხშირ შემთხვევაში, მერია ხარვეზიან პროექტებს იბარებს, რომელიც უკვე ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან ძალიან მალე ხდება უვარგისი და თავიდან არის თანხა დასახარჯი. აუდიტმა ასეთი პრობლემა 7 მუნიციპალიტეტში გამოავლინა, რომლებზეც ჯამში 38.1 მლნ ლარი დაიხარჯა.

ცხრილი 3. *არასათანადოდ ხარისხით შესრულებულ პროექტებზე დახარჯული თანხა*

[5] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტის ანგარიში, გვ 23

	მლნ ლარი
ჭიათურა	10.0
წალენჯიხა	8.2
ოზურგეთი	8.2
კასპი	6.3
ბაღდათი	2.5
ცაგერი	2.2
ტყიბული	0.7
სულ	**38.1**

მონაცემების წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები

არასათანადო ხარისხით ყველაზე მეტი ღირებულების პროექტები ჭიათურის მერიამ განახორციელა, ჯამში 10 მლნ ლარის. კერძოდ, დაზიანებულია სპორტული მოედანი, საბავშვო ბაღი, ამბულატორია, გზა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები.[6]

[6] ჭიათურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტის ანგარიში, გვ 16

სახელმწიფო აუდიტის დასკვნით გამოვლენილი ძირითადი პრობლემები მუნიციპალიტეტების მიხედვით

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

2022-2023 წლებში მერიამ ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროგრამებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები და ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით განსაზღვრული პროექტების განხორციელება. ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურისა და შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

სახელმწიფო შესყიდვები

კომისიის მიერ პრეტენდენტების შერჩევისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტების პროცესი არ შეესაბამებოდა მარეგულირებელ ნორმებს.

შესყიდვების პროცესში ვერ უზრუნველყო ბაზრის კვლევის სათანადოდ განხორციელება, გამარტივებული შესყიდვის სააგენტოსთან შეთანხმება. შედეგად, არ არის დაცული შესყიდვების ფასის საბაზრო ღირებულებებით განსაზღვრის, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური ხარჯვისა და შესყიდვის პროცედურების გამჭირვალობის პრინციპები.

მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის დასახმარებლად და სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად ვერ შეარჩია სამუშაოების შესრულების სათანადო ფორმა. შედეგად, 68.4 ათასი ლარი დახარჯულია არაეფექტიანად.

ჯამში, 909 ათასი ლარი დაიხარჯა არაეფექტურად ან საეჭვოდ.

მუნიციპალური სერვისები

თვითმმართველ ერთეულში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემური პრობლემა: მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული სუბიექტი; მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სასმელი წყალი ცენტრალიზებულად არ მიეწოდება, ხოლო **მიწოდებული წყალი არ იწმინდება**. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად არასაკმარისია.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

თვითმმართველი ერთეულის მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების განსაზღვრის შესახებ არარაციონალურია: მუნიციპალიტეტი არ იცავს საკრებულოს მიერ დადგენილი სამორიგეო

ავტომაქანების ზღვრულრაოდენობას; საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმებისრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

კონტროლის გარეშე ავტომობილებში ჩასხმულია 217.4 ათასი ლიტრი საწვავი. ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 20 შემთხვევა.

ხელშეკრულებით დასაქმების ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას. დარღვეულია დაქირავებულ მოსამსახურეთა რიცხოვნობის დაწესებული ზღვარი. ამასთანავე, ზოგ შემთხვევაში, დაქირავებულთა ფუნქცია- მოვალეობები გაუმიჯნავი და საჯარო მოსამსახურეების ფუნქციის იდენტურია.

დაშვებულია 11 პირი, სხვადასხვა დროს დასაქმებული იყო 15-36 პირი.

ქონების მართვა

ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის პროცესში არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონისა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში საიჯარო ფასის გადახედვის შესაძლებლობა. სარგებლობით გაცემული ქონებიდან სრულად არ არის მიღებული დაგეგმილი მატერიალური სარგებელი; ასევე რეაგირების გარეშეა დარჩენილი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მუნიციპალიტეტის ქონებით სარგებლობის შემთხვევები. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. ვერ მიიღეს 22 ათასი ლარის იჯარა.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით და არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება. კერძოდ, რიგ შემთხვევაში დასაქმებულების ფუნქცია-მოვალეობები და ცალკეული ხარჯები არ არის სათანადოდ დასაბუთებული. 262.3 ათასი ლარი გაიცა არააუცილებელ დასაქმებაზე, 50 ათასი ლარის დანამატი დაუსაბუთებელია.

სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამისათვის - „შეჭირვებული ოჯახების სხვა ერთჯერადი სოციალურიდახმარება“ მუნიციპალიტეტმა დააწესა არასაკმარისი კრიტერიუმი, რაც ვერ უზრუნველყოფს თანხების პროპორციულ განაწილებას და ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების მიღების რისკს. 235.2 ათასი ლარის ხარჯი დაუსაბუთებელია.

აუდიტის სამსახურს 2016-2017 წლებისთვისაც აქვს ჩატარებული ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აუდიტი და 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტში დარღვევები განმეორებით ფიქსირდება, ესენია:

- მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი;

- მოსახლეობის წყალმომარაგება ხორციელდება არსებითი ხასიათის ხარვეზებით;

- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

ცაგერის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

მუნიციპალიტეტმა 2022-2023 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება. კერძოდ, აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2022-2023 წლებში, შესაბამისად, 37% და 28% დააკლდა. ამასთანავე, დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

სახელმწიფო შესყიდვები

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ არ დაიცვა სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი რეგულაციები. კერძოდ, ერთ შემთხვევაში კომისიამ დაარღვია მის მიერვე განსაზღვრული სატენდერო პირობა, ხოლო ორ შემთხვევაში ტენდერები დაუსაბუთებლად შეწყვიტა.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და აქტივების მართვაში არსებული კონტროლის მექანიზმების ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ უზრუნველყო ობიექტის დასრულება და ამასთანავე, გონივრულ ვადაში ვერ გამოიყენა შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 416.1 ათასი ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. ჩაიბარა 2,182.2 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ნაწილობრივ დაზიანდა ან/და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.

მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე დანერგილი კონტროლის პროცედურები ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას

შეძენილი დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, მუნიციპალიტეტი იბარებდა ხარვეზებით შედგენილ დოკუმენტაციას, რაც გავლენას ახდენდა სამუშაოების მიწოდების ვადებზე. მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

მუნიციპალური სერვისები

თვითმმართველ ერთეულში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემა: მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს სუბიექტი, რომელსაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილის წყალმომარაგება ევალება; **სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება**.

ხელშეკრულებით დასაქმების ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტების მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას.

ქონების მართვა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები; არ არის შესრულებული ქონების განკარგვის საინვესტიციო პირობა; მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად და დროულად მობილიზება და ზოგიერთ შემთხვევაში არ გამოიყენა გაფორმებულ ხელშეკრულებებში საიჯარო ფასის გადახედვისა და კონკურენციის გასაზრდელად აუქციონის გამოყენების შესაძლებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს მეტი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. მიუღებელი იჯარა არის 121.7 ათასი.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით და არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება. კერძოდ, რიგ შემთხვევაში დასაქმებულების ფუნქცია-მოვალეობები, სუბიექტების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის მოდელი არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

ა(ა)იპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 98-121 პირს.

ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირები ერთდროულად მუშაობენ 2-3 სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში. მათ შორის, დასაქმებულ პირებს სხვადასხვა ორგანიზაციაში ეჭირათ ბუღალტრის, იურისტის, მენეჯერის, შესყიდვების სპეციალისტის და ა.შ. პოზიციები.

აუდიტის სამსახურს 2016-2017 წლებისთვისაც აქვს ჩატარებული ცაგერის მუნიციპალიტეტის აუდიტი და 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტში დარღვევები განმეორებით ფიქსირდება, ესენია:

- მუნიციპალიტეტს წლის ბოლოს რჩება არსებითი მოცულობის ნაშთი, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი;

- ხარვეზებია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვასა და დაფინანსებაში;

- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ;

- მუნიციპალიტეტმა კვლავ დაარღვია სამართლებრივი აქტის პირობები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ;

- მუნიციპალიტეტმა პროცესი ვერ წარმართა ისე, რომ სამშენებლო სამუშაოები დასრულდეს დროულად და ხარისხიანად;

- გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 33% დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

სახელმწიფო შესყიდვები

მუნიციპალიტეტში შესყიდვების გეგმის შედგენისა და შესყიდვებისსააგენტოსათვის წარდგენის პროცესი განხორციელებულია კანონმდებლობისდარღვევით. შედეგად, მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი მოცულობისშესყიდვები განახორციელა წინასწარ განსაზღვრული წლიური გეგმის გარეშე.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები დაპროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 650.4 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლოატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.

მუნიციპალიტეტმა თანხები არაეფექტიანად დახარჯა და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს დროულად. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებზე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია. მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ აკონტროლებდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცულობას.

მუნიციპალური სერვისები

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემურიპრობლემები: **არ არის დადგენილი მოსახლეობისათვის მიწოდებული წყლის ხარისხის შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან**. ამდენად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოსახლეობის წყალმომარაგების მიმართულებით – არასაკმარისია.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობააღემატება საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულ ოდენობას. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საწვავის ხარჯიგამოყენებულია არარაციონალურად. საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებულ 22-26 ავტომობილზე დაიხარჯა 123 ათასი ლიტრი საწვავი.

შესამოწმებელ პერიოდში 102.4 ათასი ლარის წარმომადგენლობითი ხარჯის მიზანშეწონილობა მუნიციპალიტეტში დოკუმენტურად სათანადოდ არ არის დადასტურებული.

ქონების მართვა

ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტის მიერმიღებული გადაწყვეტილებები არაოპტიმალურია. ქონების სარგებლობისუფლებით გაცემის პროცესში არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონისადა გაფორმებულ ხელშეკრულებებში საიჯარო ფასის გადახედვის შესაძლებლობა. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღებისშესაძლებლობას.

აუდიტის სამსახურს 2016-2017 წლებისთვისაც აქვს ჩატარებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის აუდიტი და 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტში დარღვევები განმეორებით ფიქსირდება, ესენია:

- მუნიციპალიტეტს წლის ბოლოს რჩება არსებითი მოცულობის ნაშთი, მათშორის, თავისუფალი ნაშთი;

- არ არის მოწესრიგებული სამსახურებრივი საქმიანობისათვის ავტომანქანებისა და საწვავის გამოყენების საკითხი;

- მუნიციპალური ქონების განკარგვა კვლავ ხორციელდება გარკვეული ნაკლოვანებებით;

- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 8,162.6 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობისთვის გადაცემული 3,921.4 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სამშენებლო მასალიდან ბენეფიციარების მიერ გამოყენებულია 2,165.6 ათასი ლარის ღირებულების (55.2%) მასალა. დახმარების მიმღები მოსახლეობის დარჩენილ ნაწილს სამშენებლო მასალები დასაწყობებული აქვთ.



მუნიციპალიტეტმა 2022 წელს შეისყიდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობარეაბილიტაციისთვის, მათ შორის, 231.2 ათასი ლარის ღირებულების დოკუმენტაციით განსაზღვრული ობიექტებისათვის მერიას შესყიდვები არ დაუგეგმავს.

მუნიციპალური სერვისები

სასმელი წყლის ხარისხი რიგ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს. აღნიშნული

პრობლემა ატარებს სისტემურ ხასიათს, თუმცა მერიას მისი მოგვარების მიზნით სათანადო ღონისძიებები არ განუხორციელებია.

2022-2024 წლებში მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ჩატარებული 160 კვლევიდან 103 შემთხვევაში გამოვლინდა ნორმიდან გადახრა წყლის ხარისხთან დაკავშირებით.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე. ამასთანავე, საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს.

საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებული 51-86 ავტომობილიზე დაიხარჯა 227 ათასი ლიტრი საწვავი, მათ შორის, კერძო მანქანებში 135.8 ათასი ლიტრი საწვავი. ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 17 შემთხვევა დაფიქსირდა.

ქონების მართვა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად და დროულად მობილიზება. მუნიციპალიტეტმა ვერ დაიცვა მისი, როგორც მესაკუთრის ინტერესები, რადგან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები. ამასთანავე სრულად არ არის გამოყენებული გაფორმებულ ხელშეკრულებებში საიჯარო ფასის გადახედვის შესაძლებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს კუთვნილი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის დასაქმებულთა ყოველდღიური ფუნქციური დატვირთვა ვერ დასტურდება. ამასთანავე, ზოგიერთი ა(ა)იპ-ისათვის არ არის შექმნილი სათანადო სამუშაო პირობები. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში არსებობს კადრების მართვასა და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებული სისტემური ხარვეზები.

ისეთ ადრებზე, რომელთა ყოველდღიური ფუნქციური დატვირთვა არ დასტურდება 725.3 ათასი ლარის შრომის ანაზღაურება გაიცა.

საბიუჯეტო პროცესი

მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლების დამტკიცებული ბიუჯეტები და 2022-2023 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები მოიცავდა პროგრამას – რეკრეაციული სივრცეების მოვლაპატრონობა და განვითარება (ორგანიზაციული კოდი 0302). მოცემული პროგრამით სულ შესამოწმებელ პერიოდში დაიგეგმა 592 ათასი ლარის ხარჯვა. აღნიშნული პროგრამა საერთოდ

არ განხორციელებულა. ხაზინის ამონაწერის თანახმად, 0302 ორგანიზაციული კოდით შესამოწმებელ პერიოდში დაიხარჯა 5,278.1 ათასი ლარი, რომელიც მიმართულია ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის დასაფინანსებლად.

აუდიტის სამსახურს 2019-2020 წლებისთვისაც აქვს ჩატარებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აუდიტი და 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტში დარღვევები განმეორებით ფიქსირდება, ესენია:

- მუნიციპალიტეტს წლის ბოლოს რჩება არსებითი მოცულობის ნაშთი, მათ შორის თავისუფალი ნაშთი;

- ინფრასტრუქტურული პროექტები დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს საგარანტიო პერიოდში მიმწოდებლებისათვის ხარვეზების გამოსასწორებლად არ მიუმართავს;

- მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მიეწოდება ისეთი წყალი, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს;

- მუნიციპალური ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები;

- მუნიციპალიტეტში კვლავ არ არის მიღებული წესი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის შესახებ, ამასთანავე, სატრანსპორტო საშუალებების საწვავისა და მოვლა-შენახვისთვის გამოყოფილი თანხები იხარჯება არარაციონალურად;

- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ და სხვ.

ხულოს მუნიციპალიტეტი

სახელმწიფო შესყიდვები

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემამ სათანადოდ ვერ უზრუნველყო სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის სწორად წარმართვა. შედეგად, მუნიციპალურმა სერვისებმა დადო ხელშეკრულება მიმწოდებელთან, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა სატენდერო პირობებს, ხოლო მერიის მიერ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების საფუძვლები რიგ შემთხვევებში დაუსაბუთებელია, რამაც განაპირობა სამუშაოების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ტექნიკისათვის შეძენილი სათადარიგო ნაწილების და მომსახურების, ასევე საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურად დადასტურებას.

დასაქმების ნაკლოვანებები

სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში 9 თანამშრომელი დასაქმებულია მუნიციპალიტეტის დაწესებულებებში ორ თანამდებობაზე.

ქონების მართვა

მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების ნაწილში, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია. აქტივებზე სათანადო კონტროლის არარსებობა, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ – ხულოს მუნიციპალურ სერვისზე თხოვების ფორმით გადაცემულ 97,600 ლარის ღირებულების აქტივებზე, წარმოშობს მათი დაკარგვის და ვარგისიანი აქტივების ჩამოწერის რისკებს.

შუახევის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

ბიუჯეტის პროგრამების შედგენის არსებული სისტემა არ იძლევა მიღწეული შედეგების გაზომვისა და შესაბამისად, პროგრამის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას, რაც საბიუჯეტო რესურსის სწორად განაწილებისა და გამოყენების მთავარი პირობაა.

სახელმწიფო შესყიდვები

2022-2023 წლებში მუნიციპლიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერების 39.6% უშედეგოდ დასრულდა. შესყიდვების მოსამზადებელი სამუშაოების კუთხით შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ტენდერების სათანადო განხორციელებას, რამაც ტენდერების შეწყვეტა და 745,450 ლარის სავარაუდო ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების შეფერხება განაპირობა. ამასთანავე, ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ თვითმმართველმა ერთეულმა ვერ მიიღო საგარანტიო და საჯარიმო თანხები.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერუზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურ დადასტურებას. საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ23 ერთეულ ავტოტრანსპორტზე 172,136 ლარის საწვავი დაიხარჯა.

დასაქმების ნაკლოვანებები

სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში 12 თანამშრომელი, პარალელურად ირიცხებოდა ასევე მუნიციპალიტეტის სხვა დაწესებულების მუშაკებად.

ქონების მართვა

ქონების იჯარით გაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საიჯარო გადასახადისა და პირგასამტეხლოს სახით გადაუხდელია 181,044 ლარი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2022-2023 წლებში, შესაბამისად, 31% და 19% დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალინაშთი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების პროცესში მუნიციპალიტეტისათანადოდ არ აკონტროლებდა დემონტირებული ვარგისი მასალების შემდგომ გამოყენებას. არსებობს რისკი, რომ მასალები განკარგა არაუფლებამოსილმა სუბიექტმა, რითაც დაიკარგა შესაბამისი სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

ფინანსური აქტივების მართვის ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა გასწია 39.1 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი და შეისყიდა ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია. გარდა ამისა, არ განხორციელდა არსებითი ღირებულების სამშენებლო სამუშაოები.

უხარისხო პროექტებით შესყიდული ინფრასტრუქტურული ობიექტების ღირებულებამ 8,200.0 ათასი ლარი შეადგინა.

მუნიციპალური სერვისები

თვითმმართველ ერთეულში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემური პრობლემა: მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს შესაბამისი პროფილის პასუხისმგებელი სუბიექტი; **მოსახლეობისათვის მიწოდებული სასმელი წყალი არ შეესაბამება დადგენილ ტანდარტებს.** შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად არასაკმარისია.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. შედეგად, საწვავი გამოყენებულია არაავტორიზებულ ავტომანქანებზე, ასევე კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებულ კერძო მანქანებზე 96 ათასი ლიტრი საწვავი დაიხარჯა. ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 49 შემთხვევა დაფიქსირდა. შვებულების დროს 1.4 ათასი ლიტრი საწვავი ჩაასხეს.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სუბიექტების საქმიანობის და მართვის კონტროლში არსებული სისუსტეები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ხარჯვის რისკებს. კერძოდ, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები გაურკვეველია. გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრები გახარჯულია დოკუმენტური დადასტურების გარეშე.



ზოგიერთი დასაქმებული პირის მოვალეობას შეადგენს: შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, ტურიზმის მნიშვნელობის აგიტაცია-პროპაგანდა, საბიბლიოთეკო სისტემაში მიმდინარე მუშაობის ხელშეწყობა და სხვ. ა(ა)იპ-მა ვერ წარმოადგინა ამ პირების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ დოკუმენტური მტკიცებულებები.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურში მუდმივად დასაქმებულია სპეციალისტი, რომლის მოვალეობა კომპიუტერიდან დოკუმენტების ამობეჭდვაა. ლაბორანტი, რომლის მოვალეობაა წყლის დაქლორვა და წყლის ხარისხის დადგენა, თუმცა 2022-2023 წლებში სამსახურის მიერ ამ სახის სამუშაოები საერთოდ არ ჩატარებულა.

სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური დახმარების კრიტერიუმების არარსებობა ვერ უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს სათანადო საჭიროების მქონე მოსახლეობისათვის და ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

აუდიტის სამსახურს 2016-2017 წლებისთვისაც აქვს ჩატარებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის აუდიტი და 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტში დარღვევები განმეორებით ფიქსირდება, ესენია:

- მუნიციპალიტეტს წლის ბოლოს რჩება არსებითი მოცულობის ნაშთი, მათშორის, თავისუფალი ნაშთი;

- არ არის დაცული საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები;

- არ არის მოწესრიგებული სამსახურებრივი საქმიანობისათვის ავტომანქანებისა და საწვავის გამოყენების საკითხი;

- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

ონის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2022-2023 წლებში, შესაბამისად, 17% და 20% დააკლდა.

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვებისათვის მერიამ რიგ შემთხვევებში ბაზრის კვლევა არ ჩაატარა ან/და ჩაატარა ხარვეზებით. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ მერიამ შესყიდვების ფასი განსაზღვრა არასაბაზრო ღირებულებებით და გასწია არაეკონომიური ხარჯი. გარდა ამისა, გამარტივებული შესყიდვისას მერიამ შეარჩია არასათანადო გამოცდილების მქონე მიმწოდებლები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო პერიოდი.

სატენდერო კომისიამ დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია მიანიჭა არასწორად. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სამუშაოები შეისყიდა უფრო მაღალი ღირებულებით და ბიუჯეტიდან გასწია 14.6 ათასი ლარის არაეკონომიური ხარჯი. მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია მოქმედებდა არაერთგვაროვნად და შესყიდვების განხორციელებისას, ზოგ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა მინიმუმ 11.2 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

არასათანადოდ ჩატარებული ბაზრის კვლევის პირობებში მუნიციპალიტეტმა განახორციელა 4.3 მლნ ლარის სახელმწიფო შესყიდვები. არსებობს რისკი, რომ ხელშეკრულებები გაფორმდა საბაზრო ღირებულებაზე მაღალ ფასად.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია

არსებობს რისკი, რომ მერიამ მიმწოდებლების სასარგებლოდ აანაზღაურა შეუსრულებელი სამუშაო ან/და შეუსაბამოდ გაწეული მომსახურება და თანხები ბიუჯეტიდან ზედმეტად გადაიხადა.

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საპროექტოსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. შედეგად, მერია იბარებდა ხარვეზებით შედგენილ დოკუმენტაციას, რაც გავლენას ახდენდა სამუშაოების მიწოდების ვადებზე.

მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 211.9 ათასი ლარი და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს დროულად ვერ მიაღწია.

მუნიციპალური სერვისები

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები: მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული სუბიექტი; **წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება**.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა ორგანიზაციებმა შესყიდვების პროცესი წარმართეს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, ელექტრონული პორტალის გარეშე. არსებობს რისკი, რომ ფულადი სახსრები არაკონკურენტულ გარემოში დაიხარჯა არარაციონალურად და არამართლზომიერად.

ანგარიშებიდან განხორციელებული ტრანზაქციებით ირკვევა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელს სხვადასხვა დროს ტენდერში მონაწილეობის საფასურის მიზნობრიობით საკუთარ ანგარიშზე ჩარიცხული აქვს ჯამში – 20.6 ათასი ლარი, შესაბამისად, დირექტორის მიერ მიღებული თანხა 13.3 ათასი ლარით აღემატება ტენდერებში მონაწილეობისთვის გადასახდელ თანხას. ასევე, დირექტორს ბანკომატების საშუალებით ორგანიზაციის ანგარიშიდან გამოტანილი აქვს ჯამში – 26.8 ათასი ლარი. პირის განმარტებით, ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში ნაღდი ანგარიშსწორება უფრო მოსახერხებელი იყო. აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა შესაბამისი სამეურნეო ოპერაციების განხორციელების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია, რაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა.

აუდიტის სამსახურს 2016-2017 წლებისთვისაც აქვს ჩატარებული ონის მუნიციპალიტეტის აუდიტი და 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტში დარღვევები განმეორებით ფიქსირდება, ესენია:

- გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმებულია გამოუცდელ კომპანიებთან;

- ხარვეზებია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვაში;

- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

აბაშის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

სახელმწიფო შესყიდვები

ხელშეკრულებების ადმინისტრირების კონტროლის მექანიზმები პროცესში არასათანადოა. ინფრასტრუქტურული ობიექტები მუნიციპალიტეტის 75.4 ათასი დაუსრულებელია. ლარის ამასთანავე, ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ მიღებული ზიანის საკომპენსაციოდ, თვითმმართველმა ერთეულმა ვერ მიიღო 10.4 ათასი ლარის საგარანტიო თანხა.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ აკონტროლებდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცულობას. კერძოდ, სამუშაოების დასრულების ვადები 7 შემთხვევაში გაზარდა დაუსაბუთებლად, არაობიექტური მიზეზებით. შედეგად, მიმწოდებლებზე არ გავრცელდა ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები.

მუნიციპალური სერვისები

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები: მოსახლეობის ნაწილის წყალმომარაგებაზე ფუნქციურად პასუხისმგებელი არ არის არც ერთი სუბიექტი. მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება; **მოხმარებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება**.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მერიამ დაარღვია საკრებულოს სამართლებრივი აქტის მოთხოვნები „სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესის შესახებ“. ამასთანავე, საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფდა მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. საწვავის ნაწილი სათანადო დასაბუთების გარეშე გამოყენებულია უნომრო ბარათებით, ასევე არაავტორიზებულ მანქანებზე, მოხელეების შვებულებაში ყოფნის დროს.

საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებულ კერძო მანქანებზე 76 ათასი ლიტრი საწვავი დაიხარჯა. ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 30 შემთხვევა დაფიქსირდა. შვებულების დროს ჩაასხეს 1.4 ათასი ლიტრი საწვავი.

ქონების მართვა

მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის ადგილობრივ ბიუჯეტში სრულად და დროულად მობილიზება. ამასთანავე, ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის პროცესში არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონისა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში საიჯარო ფასის გადახედვის შესაძლებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით და არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეფექტიანად და ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება. კერძოდ, ზოგიერთი სუბიექტი არ ასრულებდა წესდებით განსაზღვრულ ამოცანებს; რიგ შემთხვევაში სუბიექტების ორგანიზაციული სტრუქტურა/საშტატო განრიგი და დასაქმებულების ფუნქცია-მოვალეობები არ არის სათანადოდ დასაბუთებული. დასაქმებული პირები ერთდროულად მუშაობდნენ 2 სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში.

ქედის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

ქედის მუნიციპალიტეტს 2022-2023 წლებში აუთვისებელი დარჩა 3,028,260 ლარის საბიუჯეტო რესურსი, რაც ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს.

სახელმწიფო შესყიდვები

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დამატებული ღირებულების გადამხდელად არარეგისტრირებულ პირებზე, შესაბამისი დასაბუთების გარეშე, 17 შემთხვევაში ზედმეტადაა გადახდილი 26,910 ლარი, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვაზე მიუთითებს.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კულტურული და სპორტული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება-მომსახურებისათვის რიგ შემთხვევებში ხარჯები გაწეულია სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურად დადასტურებას.

საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 41 ავტოტრანსპორტზე გახარჯულია 209,757 ლარის საწვავი.

ხელშეკრულებით დასაქმების ნაკლოვანებები

შტატგარეშედ დასაქმებულ 70 თანამშრომელზე ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში თანამშრომელთა სამუშაო დროის სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში, 97 შემთხვევაში ერთდროულად დასაქმებული არიან სხვა სამუშაო ადგილებზე.

იურიდიული პირების მართვა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების წილის მფლობელი ქედის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამის ზედამხედველობას არ უწევს შპს-ების საქმიანობას, არ ატარებს შესაბამის მმართველობით ღონისძიებებს, 3 ერთეულ შპს-ს ფინანსური შედეგი დასრულებული აქვს 647,978 ლარის ზარალით, რაც წარმოშობს მეწარმე სუბიექტების გადახდისუუნარობის და გაკოტრების რისკებს.

კასპის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო გადასახდელების, მათ შორის, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2022-2023 წლებში, შესაბამისად, 23% და 21% დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

სახელმწიფო შესყიდვები

სატენდერო კომისიამ დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია მისცა კანონმდებლობის დარღვევით, შედეგად სამუშაოები შეისყიდა უფრო მაღალი ღირებულებით და ბიუჯეტიდან გასწია მინიმუმ 46.2 ათასი ლარის არაეკონომიური ხარჯი.

გრაფიკის არასათანადო კონტროლის გამო, მერიამ ზედმეტად აანაზღაურა 18.4 ათასი ლარი. ხელშეკრულებების შეუსრულებლობის შედეგად მიღებული ზიანის საკომპენსაციოდ, თვითმმართველმა ერთეულმა ვერ მიიღო 221.3 ათასი ლარის საჯარიმო თანხები.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია

6,333 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

ხელშეკრულებების ცვლილებების შეთანხმება საპროექტო ორგანიზაციასთან ატარებდა ფორმალურ ხასიათს.

მუნიციპალური სერვისები

მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია. სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი, **მოსახლეობისთვის მიწოდებული სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება**. 6,166 ოჯახს წყალი მიეწოდება გრაფიკით.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან ონტროლს. მუნიციპალიტეტმა ავტოსატრანსპორტო საშუალების მოვლა-შენახვისა და დაუსაბუთებლად, ექსპლოატაციისათვის საბიუჯეტო ასიგნების ხარჯი ეკონომიური გასწია და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების პრინციპის დაცვის გარეშე.

საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებულ კერძო მანქანებზე 76 ათასი ლიტრი საწვავი დაიხარჯა. შვებულების დროს ჩაასხეს 1.3 ათასი ლიტრი საწვავი.

დასაქმების ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას. ზოგ შემთხვევაში, დაქირავებულთა ფუნქციამოვალეობები საჯარო მოსამსახურეების ფუნქციის იდენტური ან/და დაუსაბუთებელია.

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე გაწეულმა შრომის ანაზღაურებამ 2022-2023 წლებში 839.5 ათასი ლარი შეადგინა. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულების დაქირავების პროცესი მიმდინარეობდა ხარვეზებით.

ქონების მართვა

ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის პროცესში არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონისა და გაფორმებულ ხელშეკრულებაში საიჯარო ფასის გადახედვის შესაძლებლობა. კონტროლის სუსტი მექანიზმების გამო, მერიამ ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად მობილიზება.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით. რიგ შემთხვევებში თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები დუბლირებულია ან არ არის სათანადოდ დასაბუთებული. მერია სათანადოდ არ აკონტროლებს დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობას.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანებამ ვერ დაასაბუთა 14 საშტატო ერთეულის საჭიროება. ა(ა)იპ-ში თანამშრომელთა ნაწილის მოვალეობები დუბლირებულია. კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანებაში დასაქმებული 40-44 პირის უფლება-მოვალეობები არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ა(ა)იპ-ში დასაქმებული რიგი თანამშრომლების საქმიანობა დუბლირებულია.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პირი ერთდროულად მუშაობდა ორ სხვადასხვა ა(ა)იპ-ში.

აუდიტის სამსახურს 2016-2017 წლებისთვისაც აქვს ჩატარებული კასპის მუნიციპალიტეტის აუდიტი და 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტში დარღვევები განმეორებით ფიქსირდება, ესენია:

- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ;

- გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა ამოწურული არ იყო. მუნიციპალიტეტმა კვლავ ჩაიბარა ისეთი საპროექტო დოკუმენტაცია, რომელსაც ხარვეზები აღენიშნებოდა;

- მუნიციპალიტეტს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული საწვავის მიზნობრივ ხარჯვაზე;

- ხარვეზები გამოვლინდა ხელშეკრულებით დაქირავებულ პირებთან დაკავშირებით;

- ხარვეზებია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების მართვაში და სხვ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვების მართვის პროცესში მუნიციპალიტეტის კონტროლის მექანიზმები არასაკმარისია, კერძოდ: გამარტივებული შესყიდვის საშუალება გამოყენებულია სათანადო დასაბუთების გარეშე; ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ პრობლემების მოსაგვარებლად სათანადო ღონისძიებები არ არის გატარებული.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები; კერძოდ, 2,519.4 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

მუნიციპალიტეტი იბარებდა ხარვეზებით შედგენილ დოკუმენტაციას, რაც გავლენას ახდენდა სამუშაოების მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე.

მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 158.0 ათასი ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს. გამოუყენებელი ჰქონდა 2020-2023 წლებში შეძენილი 100.2 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო დოკუმენტაცია.

მუნიციპალური სერვისები

არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემური პრობლემა: სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი; მოსახლეობის ძირითად ნაწილს სასმელი წყალი ცენტრალიზებულად არ მიეწოდება, ხოლო მიწოდებული წყალი არ იწმინდება; **სასმელი წყლის ხარისხი ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს**.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე; საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი მოხმარების ეფექტიან კონტროლს.

საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებულ კერძო მანქანებზე 53 ათასი ლიტრი საწვავი დაიხარჯა. ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 54 შემთხვევა დაფიქსირდა. შვებულების დროს ჩაასხეს 2.4 ათასი ლიტრი საწვავი.

დასაქმების ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტების მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების პრინციპი არ შეესაბამება საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებას. შრომითი ხელშეკრულებით დანიშნული ზოგიერთი პირის ფუნქციები ძირითადად შტატით განსაზღვრული მოხელეების მოვალეობების იდენტურია და არ წარმოადგენს დამხმარე ან არამუდმივ სამუშაოებს. ხელშეკრულებები არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, პირები დაქირავებულნი იყვნენ დამხმარე თუ არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. მათზე დაიხარჯა 796 ათასი ლარი.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით. არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება: რიგ შემთხვევაში სუბიექტების საშტატო განრიგი და დასაქმებულების ფუნქცია-მოვალეობები არ არის სათანადოდ დასაბუთებული; გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა ობიექტური საჭიროებით არის განპირობებული მსგავსი პროფილის ა(ა)იპ-ების დამოუკიდებლად არსებობა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

ბიუჯეტის შესრულება

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო გადასახდელების, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2022-2023 წლებში, შესაბამისად, 14% და 9% დააკლდა.

სახელმწიფო შესყიდვები

მუნიციპალიტეტმა 467.3 ათასი ლარის საერთო ღირებულების ხელშეკრულებები გააფორმა მიმწოდებელთან, რომელთანაც სატენდერო კომისიის წევრი იმყოფებოდა ინტერესთა კონფლიქტის პირობებში.

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ მომზადებული სატენდერო დოკუმენტაცია ზოგ შემთხვევაში შეიცავდა დაუსაბუთებელ მოთხოვნებს, რაც იწვევდა სახელშეკრულებო და შესაბამისად, შესყიდვის პირობების არსებით ცვლილებებს.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაცია

მერიამ შეაკეთა სკოლის შენობის ნაწილი და დახარჯა 336.3 ათასი ლარი, თუმცა სამუშაოების დასრულებიდან მოკლე დროში დაიგეგმა ობიექტის სრული რეაბილიტაცია და განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ შესრულებული სამუშაოების დემონტაჟი.

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 10,026.5 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

მუნიციპალური სერვისები

მოსახლეობას მიეწოდება ტექნიკური წყალი, ისიც გარკვეული შეფერხებებით.

მუნიციპალიტეტს არ აქვს ერთგვაროვანი მიდგომა დაზარალებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიმართ, სოციალური დახმარების მხრივ. აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს თანხების სამართლიან და ეფექტიან განაწილებას, ხელს უწყობს დახმარების მიმღებთა არათანაბარ პირობებში ჩაყენებას და ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

მუნიციპალიტეტმა საკუთარი საქმიანობის რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელებისათვის საანგარიშო პერიოდში დახარჯა 104 ათასი ლარი.

ქონების მართვა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საიჯარო ქირის სრულად მობილიზება და ამასთანავე, ქირის გადაუხდელობისათვის მოიჯარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავი.არ დაარიცხა.

იურიდიული პირების მართვა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით. კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება. მუნიციპალიტეტში არსებობს საერთო მიზნების და ამოცანების მქონე ერთი და იმავე პროფილის რამდენიმე ა(ა)იპ, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ ერთნაირ დარგობრივ მომსახურებას.



ა(ა)იპ – ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრში დასაქმებული იყო სამი თანამშრომელი, რომლებსაც ევალებოდათ მერიის შენობაში არსებული ლიფტების მოძრაობის კონტროლი და ავარიის შემთხვევაში ხელმძღვანელის ინფორმირება. სსიპ – ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში დასაქმებული იყო სოფლის საკლუბო დაწესებულების სპეციალისტი, მაშინ როდესაც კონკრეტულ სოფელში კლუბის შენობა არ არსებობდა. აღნიშნულ პირებზე გაცემულმა შრომი სანაზღაურებამ 33.3 ათასი ლარი შეადგინა.



აუდიტის სამსახურს 2016-2017 წლებისთვისაც აქვს ჩატარებული ჭიათრის მუნიციპალიტეტის აუდიტი და 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტში დარღვევები განმეორებით ფიქსირდება, ესენია:

- გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა

ამოწურული არ იყო. ზოგიერთი ინფრასტრუქტურული ობიექტი დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს;

- მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ისეთი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც არ გამოუყენებია;

- წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევის პროცესი სათანადოდ არ არის დადოკუმენტირებული;

- ხარვეზებია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების მართვასა და დაფინანსებაში;

- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.